II შეტყობინება, 12 სექტემბერი

საქართველოს მათემატიკოსთა ყრილობა

ბათუმი /ქუთაისი, 2009 წ. 9-12 ოქტომბერი

ძვირფასო კოლეგებო,

მოგეხსენებათ, რომ გადაწყვეტილია საქართველოს მათემატიკოსთა კავშირის ყრილობის ჩატარება 2009 წლის 9-12 ოქტომბერს ქ. ბათუმში. ბოლო დღეს ყრილობა იმუშავებს და დახურვის ცერემონია გაიმართება ქ. ქუთაისში 12 ოქტომბერს.

პირველ შეტყობინებასთან შედარებით **არის ცვლილებები** და გთხოვთ მიაქციოთ ყურედღება

მთავარი სიახლე: გაიხსნა ყრილობის ოფიციალური WEB გვერდი მისამართზე:

http://www.rmi.acnet.ge/~GMU/ ლინკი: სმკ ყრილობა 2009

სადაც თქვენ იხილავთ მუდმივად გახლებად ინფორმაციას. **იქვე შეგიძლიათ გადახვიდეთ ინგლისურ ვერსიაზე (ჩვენი უცხოელი კოლეგებისათვის)**

ყრილობის ფარგლებში ბათუმში გამართული ერთ ერთი სესია მიეძღვნება ანდრია რაზმაძის დაბადებიდან 120 წლისთავს, ხოლო ქუთაისში გამართული ერთ ერთი სესია მიეძღვნება ლევან ჟიჟიაშვილის დაბადებიდან 75 წლისთავს.

გათვალისწინებულია ერთი სესია მიეძღვნას აკადემიკოს ნოდარ ბერიკაშვილის დაბადების 80 წლისთავს.

ყრილობაზე იმუშავებს შემდეგი სექციები (სავარაუდო ხელმძღვანელებით):

1. ალგებრა, ლოგიკა და რიცხვთა თეორია (ხელმძღვანელები: მ. ჯიბლაძე, **რ. ომანაძე)**
2. ანალიზი (ხელმძღვანელები: ვ. კოკილაშვილი, გ. ხიმშიაშვილი)
3. გეომეტრია, ტოპოლოგია (ხელმძღვანელები: ნ. ბერიკაშვილი, თ. ქადეიშვილი)
4. მათ. განათლება და მათემატიკის ისტორია (ხელმძღვანელები: გ. გოგიშვილი, თ. ვეფხვაძე)
5. რიცხვითი მეთოდები და მეცნიერული გამოთვლები (ხელმძღვანელები: დ. გორდეზიანი, ჰ. მელაძე)
6. ჩვეულებრივი დიფერენციალური განტოლებები, მართვის თეორია, ოპტიმიზაცია და დინამიკური სისტემები (ხელმძღვანელები: ი. კიღურაძე, თ. თადუმაძე)
7. კერძოწარმოებულიანი დიფერენციალური განტოლებები, გამოყენებები მეცნიერებასა და ტექნოლოგიებში (ხელმძღვანელები: დ. ნატროშვილი, თ. ბუჩუკური)
8. უწყვეტ ტანთა მექანიკა (ხელმძღვანელები: რ. ბანცური, გ. ჯაიანი)
9. ალბათობის თეორია და სტატისტიკა (ხელმძღვანელები: ნ. ვახანია, ე. ნადარაია, ვ. კვარაცხელია)
10. თეორიული ფიზიკა (ხელმძღვანელები: ა. კვინიხიძე, ი. ლომიძე)
11. კომპიუტერულ მეცნიერებათა მათემატიკური ასპექტები (ხელმძღვანელები: გ. სირბილაძე, ა. სიხარულიძე)

მოხსენებათა თეზისები:

დაგეგმილია მოხსენებათა თეზისების გამოქვეყნება. გთხოვთ, თეზისები მოამზადოთ LaTex ან Word-ის პროგრამების გამოყენებით, email-ზე მიბმულ ფაილებში მოცემული ნიმუშის მიხედვით და გამოაგზავნოთ (იხ. ქვემოთ რეგისტრაციის განყოფილებაში) **ა.წ. 30** სექტემბრამდე. მათთვის ვინც ჩათვალა რომ LaTex პროგრამის არსებული ნიმუში რთულია, შეუძლიათ თეზისი მოამზადონ

LaTex პროგრამის ახალი ნიმუშით Abstr_Template.tex იხ. მიბმული ფაილები). თეზისის მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს ერთ გვერდს. თეზისი შეიძლება მომზადებული იქნეს ქართულ, ინგლისურ ან რუსულ ენაზე.

თეზისის Pdf-ფაილის გამოგზავნა (LaTex an doc ფაილთან ერთად) სასურველია მაგრამ არა აუცილებელი.

მონაწილეთა რეგისტრაციის შესაძლო ფორმები:

A) online-რეჟიმში მათემატიკოსთა კავშირის საიტზე (უმჯობვესია!)

http://rmi.acnet.ge/~gmu/GMU_Conference/registration.htm

B) წერილის გაგზავნით მისამართზე **GeorgianMU@gmail.com**. **წერილი უნდა შეიცავდეს** შემდეგ მონაცემებს:

1. გვარი, სახელი
2. სამუშაო ადგილი
3. მისამართი
4. e-mail, ტელეფონი, ფაქსი
5. თქვენი მოხსენების სათაური
6. მიუთითეთ თქვენთვის სასურველი სექცია (სექციების ჩამონათვალი იხ. ზემოთ)
7. **გინდათ თუ არა სასტუმრო ბათუმში 8-12 ოქტომბერს, ფასი 13-დან 40 ლარამდე 1 ადამიანი/ღამე (დამოკიდებულია ოთახში განთავსებულ ადამიანთა რაოდენობაზე, 1, 2 ან 3 ადამიანი, ოთახი/ღამე ეღირება 40 ლარი). მიუთითეთ ადგილების რაიოდენობა და ზუსტი თარიღები**
8. გინდათ თუ არა სასტუმრო ქუთაისში 11 ან 12 ოქტომბერს, ფასი 15 ლარამდე ადამიანი/ღამე მიუთითეთ ადგილების რაიოდენობა და ზუსტი თარიღები
9. გთხოვთ გამოგზავნილ ელექტრონულ ფოსტას ჩამოაბათ ATTACHMENT თქვენი მოხსენების თეზისით, შედგენილი ზემოთ <u>მითითებული წესით</u>

სარეგისტრაციო თანხა:

ყრილობის ყველა მონაწილე იხდის სარეგისტრაციო თანხას.

სარეგისტრაციო თანხა შეადგენს 20 ლარს (+30 ლარი ვისაც არა აქვს გადახდილი საქართველოს მათემატიკოსთა კავშირის ბოლო 3 წლის საწევრო). ყრილობის მონაწილეების რეგისტრაცია და **სარეგისტრაციო თანხის გადახდა უნდა მოხდეს ა.წ. 5 ოქტომბრამდე**. გადაუხდელობის შემთხვევაში თეზისის გამოქვეყნება ვერ მოხერხდება.

სარეგისტრაციო თანხის გადახდის შესაძლო ფორმებია:

A) ჩარიცხვა ანგარიშზე:

მიმღები ბანკი: სს "ბაზისბანკი"

ბანკის კოდი: 220101956

მიმღების დასახელება: მიმდინარე ანგარიში თამაზ თადუმაძე

ანგარიშის ნომერი: 28136497

B) გადახდა უშუალოდ კავშირის წარმომადგენლებთან ორგანიზაციებში:

როლანდ გაჩეჩილაძე (რაზმაძის მათემატიკის ინსტიტუტი)

ნატო ჩინჩალაძე (გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტი)

ბაჩანა გიორგობიანი (გამოთვლითი მათემატიკის ინსტიტუტი)

თამაზ თადუმაძე (თსუ; მათემატიკოსთა კავშირის ხაზინადარი)

ლევან გიორგაშვილი (სტუ)

მერაბ სვანაძე (ჭავჭავაძის უნივერსიტეტი)
ვლადიმერ ბალაძე (ბათუმის უნივერსიტეტი)
ნიკა გორგოძე (ქუთაისის უნივერსიტეტი)

თუ ვინმეს აქვს სურვილი მოიწვიოს უცხოელი კოლეგა, გთხოვთ, მოგვმართოთ **სასწრაფოდ,** რათა გავუგზავნოთ შესაბამისი წერილი. უცხოელებისათვის სასტუმრო, კვება, ექსკურსიები უფასოა, ბანკეტის თანხა და შესატანი (100 ევრო შორეული უცხოეთიდან და 100 ლარი ახლო უცხოეთიდან) უნდა დაფარონ თვითონ.

მსურველთათვის შესაძლებელია ნომერის შეკვეთა სასტუმროებში "ლიზა" და "ევა" გონიოში. სასტუმროები განლაგებულია გვერდიგვერდ ბათუმის გარეუბანში, 8-10 კილომეტრის მოშორებით უნივერსიტეტიდან, სადაც ჩატარდება სხდომები. მოგემსახურებათ ავტობუსი. სასტუმროებს გააჩნია 2-ადგილიანი ნომრები 10-15 ლარად 1 ადამიანი/ღამე (20-30 ლარი ნომერი/ღამე).

საქართველოს სამეცნიერო ფონდის გრანტების მფლობელებს, თუ გააჩნიათ შესაბამისი სამივლინებო თანხები, შეეძლებათ მათი გამოყენება კონგრესის მუშაობაში მონაწილეობის დასაფინანსებლად ფონდთან შეთანხმებით (შეთანხმება საჭიროა თუ სამივლინებო თანხები გაწერილია მხოლოდ საზღვარგარეთ მივლინებებისათვის).

საორგანიზაციო კომიტეტი მუშაობს რათა მოიპოვოს დამატებითი თანხები იმ მონაწილეთა დასაფინანსებლად ვისაც არ გააჩნიათ სამივლინებო თანხები. ასეთმა მონაწილეებმა უნდა მოგვმართონ განცხადებით.

კონგრესის ფარგლებში მოეწყობა ახალგაზრდა მათემატიკოსის (ან მათემატიკოსების) არჩევა რომელიც (რომლებიც) დაჯილდოვდება საქართველოს მათემატიკოსთა კავშირის პრემიით.

ასევე გათვალისწინებულია არანაკლებ 75 წლის მატემატიკოსის შერჩევა და დაჯილდოვება განსაკუთ-რებული დამსახურებებისათვის ქართული მათემატიკის განვითარების საქმეში.

დებულებები ამ ორი კონკურსის შესახებ განთავსებულია ზემოთ მითითებულ WEB-გვერდზე და ერთვის თან მოცემულ შეტყობინებას.

კონკურსებძე საბუთების შემოტანის ვადაა 5 ოქტომბეის 12 საათი ყრილობის სამდივნოში (გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტი, ნატალია ჩინჩალაძე), ან გამოაგზავნეთ ელექტრონული ფოსტით.

<u>**საორგანიზაციო კომიტეტი:**</u>
რ. დუდუჩავა (თავმჯდომარე)
ლ. ბალაძე (თავმჯდომარის მოადგილე)
გ. ონიანი (თავმჯდომარის მოადგილე)
ნ. ჩინჩალაძე (მდივანი)
ს. ლაშხი, შ. მახარაძე

<u>**სამეცნიერო კომიტეტი:**</u>
ჯ. შარიქაძე (თავმჯდომარე)
თ. ქადეიშვილი (თავმჯდომარის მოადგილე)
რ. ბანცური, ნ. ბერიკაშვილი, ა. ბერიძე, თ. ბუჩუკური, გ. გოგიშვილი, დ. გორდეზიანი, ნ. ვახანია, თ. ვეფხვაძე, თ. თადუმაძე, ვ. კვარაცხელია, ა. კვინიხიძე, ი. კიღურაძე, ვ. კოკილაშვილი,ჰ. მელაძე, ე. ნადარაია, დ. ნატროშვილი, **რ. ომანაძე,** გ. სირბილაძე, ა. სიხარულიძე, ზ. სოხაძე, გ. ხიმშიაშვი-ლი, გ. ჯაიანი, მ. ჯიბლაძე.